განკარგულება - N 20.479.625
6 / მაისი / 2020 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127^2 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს შემდეგი საკითხი:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის (შემდგომში - „მოიჯარე") 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შემცირდეს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) მოიჯარეს, რომელსაც 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვს საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

გ) მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2020 წელს, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

დ) გადახდილი საიჯარო ქირა არ ექვემდებარება დაბრუნებას;

ე) მოიჯარეს, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა/ დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან;

ვ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახოს იმ ქვემოიჯარეებზე, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ

განკარგულებით გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად წლიური საიჯარო ქირის გადაანგარიშება და მოიჯარეთათვის ამ განკარგულების გაცნობა მისი გამოქვეყნების, გადაცემის, ფოსტის ან/და ელექტრონული საშუალებებით გაგზავნის გზით.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე